GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

10 Mart/ მარტი 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 688.6	5023.2	10.5%	17.3 %	8.1 %

İrakli Garibashvili Berlin'de ITB Berlin 2023 Fuarını Açtı

ირაკლი ღარიბაშვილმა ბერლინში გამოფენა - ITB Berlin 2023 გახსნა

Gürcistan Başbakanı Sn. İrakli Garibashvili eşi Sn. Nunuka Tamazashvili ile birlikte Turizm Fuarı ITB Berlin'in açılış törenine katıldı. Hükümet Başkanı katılanlara hitaben nutuk söyledi.

Fuar açılışına Birleşmiş Milletler Dünya Turizm Örgütü Genel Sekreteri (UNWTO) Sn. Zurab Pololikashvili; Berlin Belediye Başkanı Sn. Franziska Giffey; Alman Seyahat Birliği (DRV) Başkanı Sn. Norbert Fiebig; Dünya Seyahat ve Turizm Konsey (WTTC) Başkanı Julia Simpson; Messe Berlin'in Genel Müdürü Dirk Hoffman; Denizcilik Ekonomisi ve Turizm Koordinatörü, Almanya Federal Meclisi Üyesi, Sn. Dieter Janecek de katılmaktaydırlar.

Açılış töreninden sonra Sn. İrakli Garibashvili misafirleri ile birlikte Gürcistan pavyonu ve sergi alanlarını gezdi.

Başbakan ayrıca Almanya standını gözleyip sergilendiği yenilikleri tanımış oldu.

Berlin Turizm Fuarında Gürcistan standı yerini 80 civarında Gürcü firmasının sergilendiği 1000 metrekarelik bir alanında almaktadır.

Gürcistan Ulusal Turizm İdaresinin yanı sıra fuara Ajara Turizm ve Tatil Yerleri Bölümü, Tiflis Belediye Binası, Turizm Dernekleri, Destinasyon Yönetim Örgütleri ve Havalimanları Birliği de katılmaktalar.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მეუღლესთან ნუნუკა თამაზაშვილთან ერთად დაესწრო ტურისტული გამოფენის - ITB Berlin 2023-ის საზეიმო გახსნის ღონისძიებას. მთავრობის მეთაურმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა.

გამოფენის გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობდა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივანი (UNWTO) ზურაბ პოლოლიკაშვილი, ბერლინის მერი ფრანცისკა გიფაი, გერმანული ტურიზმის ასოციაციის (DRV) პრეზიდენტი ნორბერტ ფეიბიგი, მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს (WTTC) პრეზიდენტი ჯულია სიმფსონი, მესე ბერლინის

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

დირექტორი დირკ ჰოფმანი, ფედერალური მთავრობის კოორდინატორი საზღვაო ეკონომიკისა და ტურიზმის საკითხებში, ბუნდესტაგის წევრი დიტერ იანეჩეკი.

ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნის ღონისძიების შემდეგ, სტუმრებთან ერთად, საქართველოს პავილიონი და საგამოფენო სივრცეები დაათვალიერა.

პრემიერ-მინისტრმა ასევე დაათვალიერა გერმანიის სტენდი და მათ მიერ გამოფენილ სიახლეებს გაეცნო.

ბერლინის ტურისტულ გამოფენაზე საქართველოს სტენდი 1000 კვ.მ.-მდე ტერიტორიაზეა განთავსებული, სადაც 80-მდე ქართული კომპანიაა წარმოდგენილი.

საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად, გამოფენაში ასევე მონაწილეობენ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, თბილისის მერია, ტურისტული ასოციაციები, დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციები და აეროპორტების გაერთიანება.

İrakli Garibashvili Gürcistan'da Avrupa Birliği İzleme Misyonu Yeni Başkanı Dimitrios Karabalis İle Görüştü

ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ახალ ხელმძღვანელს დიმიტრიოს კარაბალისს შეხვდა

Gürcistan Başbakanı Sn. İrakli Garibashvili Gürcistan'da Avrupa Birliği İzleme Misyonu yeni Başkanı Sn. Dimitrios Karabalis ile görüştü.

Görüşmede Hükümet Başkanı diplomata yeni göreve atanmasından dolayı tebriklerini sunup gelecek faaliyetlerinde başarılar dilemiştir.

İzleme Misyonunun, bölgesel güvenlik ve barışın sağlanmasında sahadaki tek uluslarası bir mekanizma olarak rolü vurgulandı.

Sn. İrakli Garibashvili ile Sn. Dimitrios Karabalis Gürcistan'ın işgal edilen bölgelerdeki ile işgal hattı boyunca mevcut güvenlik ortamı, insanı ve insan hakları açısından zor bir durumdan bahsetmişlerdi. Başbakan Gürcistan Hükümetinin çatışmanın barışçıl bir şekilde çözülme politikasından yana olduğunu bir kez daha teyit etti.

Görüşmede ayrıca bölge ve dünyadaki güvenlik ortamına ve zorluklara değinildi.

Görüşmeye Hükümet İdaresi Başkanı Sn. Revaz Javelidze de hazır bulunmaktaydı.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ახალ ხელმძღვანელს დიმიტრიოს კარაბალისს შეხვდა.
გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მთავრობის მეთაურმა დიპლომატს ახალ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.
ხაზი გაესვა სადამკვირვებლო მისიის, როგორც ადგილზე არსებული ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმის როლს რეგიონული უსაფრთხოებისა და მშვიდობის უზრუნველყოფაში.
ირაკლი ღარიბაშვილმა და დიმიტრიოს კარაბალისმა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, ასევე საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებული უსაფრთხოების გარემოსა და ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ მძიმე ვითარებაზე ისაუბრეს.
პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პოლიტიკის მიმართ საქართველოს მთავრობის ერთგულება.
საუბარი ასევე შეეხო რეგიონსა და მსოფლიოში არსებულ უსაფრთხოების გარემოსა და გამოწვევებს.
შეხვედრას მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე ესწრებოდა.

Gürcistan Foodex Japan 2023'e Katılmaktadır
საქართველო Foodex Japan 2023-ში მონაწილეობას იღებს

Şarap Ulusal Ajansının mali ve organizasyonel desteği ile şarap üreticisi 16 Gürcü firması Japonya'nın Başkenti Tokyo'da yerini aldığı içecek ve gıda ürünleri sergisi- Foodex Japan 2023'e katılmaktalar.
Şarap Ulusal Ajansı Başkan Yardımcısı Sn. Davit Tkemaladze ifadesinde bulundu: "Belirtilmiş sergiye katılmak Japonya'ya ürünlerimizi tanıtmasının, pazara girmesinin ve Japon dağıtıcı firmaları aramasının en iyi bir yoludur. "Foodex Japan" 1976 yılından beri düzenlenmiş olan, Asya'nın en büyük sergilerinden biridir. Gürcü şarap üretici firmalar 2015 yılından beri "Foodex Japan"a katılabilirler. COVID-19 Pandemi nedeniyle 2019 yılından sonra Japonya'da Gürcü şarabının en hacimli tanıtımı bu olacaktır".

Sergi kapsamında Şarap Ulusal Ajansı temsilcileri Japon pazarlama ve danışmanlık şirketleriyle görüşmeleri düzenleyecekler.
2014 yılında Şarap Ulusal Ajansının desteği ile yapılan Gürcü şarabının büyük ölçekli tanıtımı düzenlenmiş

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

olduğu Japonya pazarı Gürcü şarabı için stratejik pazarlarından biridir. Takip eden yıllarda, yine Şarap Ulusal Ajansının desteği ile Gürcü şarap şirketleri "Foodex Japan", "Wine and Gourmet Japan" sergilerine katılmış oldular. Japon şarap uzmanları ile medya temsilcileri için Gürcistan turları düzenlenmiş olup Japonya'nın farklı farklı şehirlerde Gürcü şarabı tanıtımı/tadımı gerçekleşti.
Yürütülmüş faaliyetler sonucunda, Japonya'ya Gürcü şarabı ihracatı artış göstermektedir; 2022 yılın verilerine göre Gürcistan'dan Japonya'ya 2021 yılın verilerine göre %68 daha fazla olan 231 000 Litre şarap ihraç edildi.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 16 კომპანია იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მიმდინარე კვებისა და სასმელების გამოფენაში „Foodex Japan 2023" მონაწილეობს.
„აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობა იაპონიაში პროდუქციის პოპულარიზაციის, ბაზარზე შესვლის და დამკვიდრების, ასევე დისტრიბუტორი იაპონური კომპანიების მოძიების საუკეთესო

გზას წარმოადგენს. „Foodex Japan" 1976 წლიდან ტარდება და ის აზიაში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ გამოფენად ითვლება. „Foodex Japan"-ში ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს 2015 წლიდან ეძლევა მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. COVID-19 პანდემიის გამო, 2019 წლის შემდეგ, ეს იქნება იაპონიაში ქართული ღვინის ყველაზე მასშტაბური წარდგენა", - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ, დავით ტყემალაძემ.
აღსანიშნავია, რომ, გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები შეხვედრებს გამართავენ იაპონურ მარკეტინგულ და საკონსულტაციო კომპანიებთან.
იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული ბაზარია, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის პირველი მასშტაბური წარდგენა 2014 წელს მოხდა. შემდგომ წლებში, ასევე ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის კომპანიები მონაწილეობდნენ გამოფენებში „Foodex Japan" და „Wine and Gourmet Japan", მოეწყო იაპონელი ღვინის პროფესიონალებისა და მედიის წარმომადგენლების ტურები საქართველოში და ქართული ღვინის წარდგენა-დეგუსტაციები იაპონიის სხვადასხვა ქალაქში.
განხორციელებული აქტივობების შედეგად, იაპონიაში ქართული ღვინის ექსპორტი მზარდია; 2022 წლის მონაცემებით, საქართველოდან იაპონიაში 231 ათასი ლიტრი ღვინის ექსპორტი განხორციელდა, რაც 68%-ით მეტია 2021 წლის მაჩვენებელზე.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Cam Damacana ve Şişe İthalatı Rekor Bir Seviyededir
მინის ბოცებისა და ბოთლების იმპორტი რეკორდულ მაჩვენებელზეა

2022 yılında Gürcistan 143 109 ton cam damacana ve şişe almak için 299 000 ABD Doları harcadı. Geçen sene ithalat ücreti %57, hacmi ise %32.3 olarak artmış oldu. Son 10 sene boyunca cam damacana ve şişe ithalatı rekor bir seviyededir. Geçen sene boyunca bu tür malların ana ithalat ülkesi Rusya idi. Rusya'dan yapılmış ithalat geçen seneye kıyasla önemli ölçüde artmış durumundadır. Toplam ithalatın %58.8'i Rusya pazarı oluşturdu. 2023 yılın Ocak ayında cam damacana ve şişe ithalatın ikiye katlanması vurgulanmalıdır. Sadece Ocak ayında ülke 5 561 000 ABD Doları değerinde cam damacana ve şişeleri satın aldı. Büyüme %91. Bu vakada da ithalatın büyük ve esas payın sahibi Rusya- %64.1. Rusya'dan 6 807 ton ağırlıktaki malı satın almak için 3 569 000 ABD Doları harcandı.

2022 წელს საქართველოდან 143 109 ტონა მინის ბოცების და ბოთლების შესაძენად 74 მილიონ 299 ათასი დოლარი გავიდა. იმპორტის ღირებულება გასული წლის განმავლობაში 57%-ით, ხოლო მოცულობა 32.3%-ით გაიზარდა.

ბოლო ათი წლის მანძილზე მინის ბოცების და ბოთლების იმპორტი რეკორდულ მაჩვენებელზეა.
გასული წლის განმავლობაში ამ დასახელების საქონლის მთავარი საიმპორტო ქვეყანა რუსეთი იყო.

იმპორტი გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთიდან. ამ ბაზარზე მთლიანი იმპორტის 58.8% მოდიოდა.

აღსანიშნია, რომ 2023 წლის იანვარში მინის ბოთლებისა და ბოცების იმპორტი თითქმის გაორმაგებულია.
ჯამში ქვეყანამ მხოლოდ ინვარში 5 მილიონ 561 ათასი დოლარის მინის ბოთლები და ბოცები შეიძინა.
ზრდა 91%-ია. ამ შემთხვევაშიც იმპორტის დიდი და ძირითადი წილი - 64.1% რუსეთზე მოდის. ამ მიმართულებით 6 807 ტონა საქონლის შესაძენად 3 მილიონ 569 ათასი დოლარი გავიდა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

ქვეყნების რეიტინგი კი ასეთია: Ülke sıralaması aşağıdaki gibidir:

1. **რუსეთი** - 43.7 მლნ დოლარი, 89 219 ტონა/ **Rusya**- 43.2 Milyon ABD Doları, 89 219 Ton;

2. **სომხეთი** - 15.1 მლნ დოლარი, 35 531 ტონა/ **Ermenistan**- 15.1 Milyon ABD Doları, 35 531 Ton;

3. **უზბეკეთი** - 2.6 მლნ დოლარი, 6 512 ტონა/ **Özbekistan**- 2.6 Milyon ABD Doları, 6 512 Ton;

4. **უკრაინა** - 2.2 მლნ დოლარი, 2 023 ტონა/ **Ukrayna**- 2.2 Milyon ABD Doları, 2 023 Ton;

5. **ჩინეთი** - 2.1 მლნ დოლარი, 1 035 ტონა/ **Çin**- 2.1 Milyon ABD Doları, 1 035 Ton;

6. **თურქეთი** - 2 მლნ დოლარი, 2 832 ტონა/ **Türkiye**- 2 Milyon ABD Doları, 2 832 Ton;

7. **მოლდოვა** - 2 მლნ დოლარი, 2 494 ტონა/ **Moldova**- 2 Milyon ABD Doları, 2 494 Ton;

8. **საფრანგეთი** - 1.3 მლნ დოლარი, 861 ტონა/ **Fransa**- 1.3 Milyon ABD Doları, 861 Ton;

9. **იტალია** - 881 ათასი დოლარი, 518 ტონა/ **İtalya**- 881 000 ABD Doları, 518 Ton;

10. **ყაზახეთი** - 503 ათასი დოლარი, 745 ტონა/ **Kazakistan**- 503 000 ABD Doları- 745 Ton.

Türkiye Domates İhracatını Kısıtlayacaktır
თურქეთი პომიდვრის ექსპორტზე შეზღუდვას აწესებს

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

İnşaat Ocak Ayında Ucuzladı

იანვრის თვეში მშენებლობა გაიაფდა

2022'de Avrupa Birliği Ekonomisi %3.5 Artmış Oldu

ევროკავშირის ეკონომიკა 2022 წელს 3.5%-ით გაიზარდა

Hükümet 2013'ten Önce Üretilmiş Arabaların İthalatına Kısıtlama Getirmeyi Planlamaktadır

მთავრობა 2013 წლამდე გამოშვებული ავტომობილების იმპორტის შეზღუდვას გეგმავს

Asya'dan Araba Nakliyatı %50 Ucuzladı

აზიიდან ავტომობილის ტრანსპორტირება 50%-ით გაიაფდა - Auto import Georgia

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Türkiye'de Enflasyon %55'e Kadar Düştü

თურქეთში ინფლაცია 55%-მდე შემცირდა

ITB Berlin'de Mobilya ve Dekorasyon Satın Alınması Bütçeye 1.2 Miliyon Euro'ya Mal Oldu

ITB Berlin-ზე ავეჯის და დეკორაციების შეძენა ბიუჯეტს €1.2 მილიონი დაუჯდა

2025 Yılın Sonuna Kadar Gürcistan'ın Tüm Şehirler 24 Saatlik Su Teminine Sahip Olacaktır

2025 წლის ბოლომდე საქართველოს ყველა ქალაქს 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

Gori'de Yetişen Elmalar Dubai'ye İhraç Edilecektir

გორში მოყვანილი ვაშლი ექსპორტზე დუბაიში გავა

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.5933 TRY/GEL – 0.1368 EUR/GEL – 2.7398 GBP/GEL – 3.0811

USD/GEL
02 - 10 Mart 2023



USD/TR
02 - 10 Mart 2023

TRY/GEL
02 - 10 Mart 2023

BTC – 22 949. 02
02 - 10 Mart 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING